უფასო

ჩემი გაზეთი

14 თებერვალი
2022 წელი

№1 (56)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

2021 წელს იმერეთში განხორციელდა 2368 ინფრასტრუქტურული პროექტი

2021 წელს იმერეთის რეგიონში ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. დაგეგმილია 2022 წლის პროექტები და განსაზღვრულია პრიორიტეტები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს **ზვიად შალამბერიძესთან** *– სახელმწიფო რწმუნებულთან იმერეთის მხარეში.*

– გვესაუბრეთ 2021 წელს იმერეთის რეგიონში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

2021 წელი იმერეთის რეგიონისთვის იყო საინტერესო, წარმატებული და ნაყოფიერი. გასულ წელს იმერეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის სხვადასხვა დაფინანსების ფონდებიდან მოხდა 800 000 000 ლარამდე თანხის მობილიზება, რითაც განხორციელდა 2 368 პროექტი. მათ შორის, დიდი ყურადღება დაეთმო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

2021 წელს დასრულდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილისა (5 კილომეტრი) და ცხრაჯვარის სალოცავთან მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია,ზემო იმერეთი-რაჭის (საჩხერე-ონის) დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, აღნიშნულ პროექტზე ჯამში 111 მლნ. ლარზე მეტი დაიხარჯა. ამავე წელს განხორციელდა ძეძილეთი-გორდი-ნოღას გზის სარეაბილიტაციო და მდინარე ცხენისწყალზე და მდინარე მეჭიაზე სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოები, პროექტის ღირებულება 16 მლნ. ლარზე მეტი იყო. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ქ. ზესტაფონში 2021 წელს დასრულდა შათირიშვილი-მელქაძე-მაღლაკელიძისა და აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 2021 წელს რიკოთის მაგისტრალის პირველ, 2 კმ-იან, ორზოლიან ხევი-უბისას მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა. ახალი გზის მონაკვეთი მოიცავს 6

გაგრძელება მე–3 გვ.

ნოდარ გიორგიძე: ხალხთან მეტი კომუნიკაციით და საკრებულოში უმრავლესობით შეგვლებთ გეგრი კარგი საქმის გაკეთებას

– ბატონო ნოდარ, ვფიქრობთ უპრიანია, მკითხველს ვესაუბროთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს მუშაობისა და სტრუქტურის შესახებ.

როგორც უკვე იცით, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ახალი, მე-7 მოწვევის საკრებულომ მუშაობა 3 დეკემბრიდან აქტიურად განაახლა. საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. კომისიების, ბიუროს და, რა თქმა უნდა, საკრებულოს სხდომები ტარდება ღიად და საჯაროდ. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა სურვილსამებრ იყოს ჩართული დეპუტატებთან ერთად ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის. ამ დრომდე მე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია მეკავა და სწორედ ეს გამოცდილება მაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ჩვენ ამ გუნდით, ამ უმრავლესობით, რომლითაც ახლა ვართ წარმოდგენილი საკრებულოში, შევძლებთ ერთად ბევრი კარგი და სასიკეთო საქმის გაკეთებას.

– შევაფასოთ 2021 წლის არჩევნების შედეგები.

არჩევნების შედეგების მიხედვით ყველა სამაჟორიტარო ოლქი მმართველმა პარტიამ მოიგო. ამას დაემატა სიით გასული დეპუტატები. საკრებულოში 18 მანდატი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გუნდს ეკუთვნის. დეპუტატები სრულად ფლობენ მათ სამაჟორიტარო სოფლებში არსებული ყველა პრობლემის შესახებ ინფორმაციას, რაც მათი მოკლე დროში მოგვარების შესაძლებლობას იძლევა. მეტი კომუნიკაცია ხალხთან, მათი დროული ინფორმირება ჩვენი გუნდის პრიორიტეტი იქნება. საკრებულო გამჭვირვალედ გააგრძელებს მუშაობას ისე, როგორც ამას ამ დრომდე აკეთებდა. ყველა გადაწყვეტილება იქნება მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ მიღებული.

– გვიამბეთ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და მაჟორიტარი-დეპუტატის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარ-დეპუტატ ბეჟან ნაქაძესთან. ის აქტურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში. საკრებულო მუდმივად თანამშრომლობს მერიასთან. ჩვენი ერთობლივი მუშაობა აუცილებლად დადებითად აისახება ბაღდათის განვითარებაზე.

აზა მაშანეიშვილი

კახა ენუქიძე - ახალი მერი ახალი გამოწვევებით

2021 წლის ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ბაღდათის მუნიციპალიტეტში აირჩიეს ახალი მერი კახა ენუქიძე. ის დაიბადა 1976 წლის 29 სექტემბერს, დაამთავრა ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა (მაშინდელი ნინოშვილის სახელობის №1 საშუალო სკოლა). შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისში. 2017 წელს, მრავალწლიანი გამოცდილებისა და გამოწვევების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ბაღდათის მუნიციპალიტეტში სამხედრო სამსახურის უფროსად. მალევე გადავიდა მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის პოზიციაზე. 2021 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე წარდგენილი იყო პარტიიდან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მერობის კანდიდატად. კახა ენუქიძემ მეორე ტურის შედეგად გაიმარჯვა და აქტიურად ჩაერთო სამუშო პრეცესში. საქმიანობას 2021 წლის ნოემბრიდან შეუდგა. „ჩემი გაზეთის“ გუნდი ახლადარჩეულ მერს მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

„ჩვენ შესაძლებლობების ფარგლებში ჩართულნი ვართ ყველა პროგრამასა და პროექტში. მაქსიმალურად ვცდილობთ, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სახელმწიფო დაფინანსების შედეგად გამოყოფილი თანხები მიზნობრივად და საჭიროებების მიხედვით გამოვიყენოთ. ამის შედეგია გასულ წლებში, ჩემი მერის პირველ მოადგილედ ყოფნის პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოწესრიგდა 80 კილომეტრამდე გზა. ეს ძირითადად გახლავთ ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის 24-ვე სოფლამდე მისასვლელ საავტომობილო გზაზე. თითქმის მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოცულია გარე განათების სისტემით. იგეგმება შიდა საუბნო გზების მოწესრიგებაც.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 5 ა.(ა).ი.პ (არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირი), ესენია: ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი; ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება; ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება; ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი და ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. მათი საქმიანობა მიმართულია მუნიციპალიტეტის განვითარებისა და კეთილდღეობისაკენ. ა.(ა).ი.პ-ებში წელს დაფინანსება გაიზარდა, რამაც განაპირობა დასაქმებულების ხელფასების 10%-ით ზრდა, თუმცა მომავალში კიდევ იგეგმება თანხების მობილიზება და დაფინანსების გაზრდა სხვადასხვა მიმართულებით. მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მუშაობა. მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის ბევრი პროგრამაა შემუშავებული, ეს იქნება ერთჯერადი თუ სხვა სახის დახმარება. ბაღდათში ასევე ფუნქციონირებს უფასო სასადილო. დაფინანსება დაემატა აღნიშნულ სამსახურსაც.

დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობას. ჩვენს მუნიციპალიტეტში ეს დარგი წამყვანია. ამას ისიც მოწმობს, რომ ბაღდათში რეგისტრირებულია 60-მდე საოჯახო მარანი. ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ, მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა პროექტში. წელს შევძელით ევროკავშირის გრანტის მოპოვება, რომლის ფარგლებშიც 14 საოჯახო მარანთან მისასვლელი საავტომობილო გზა და ინფრასტრუქტურა მოეწყობა. ამისთვის გამოყოფილია 1 700 000 ლარი. ასევე სოფელ ვარციხეში აშენდა ტურიზმის ცენტრი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. დიდი სურვილი გვაქვს და ვმუშაობთ დაფინანსების მოპოვებაზე, რათა ბაღდათში აშენდეს სპორტული დარბაზი. ასევე ერთ-ერთ პროექტზე წარდგენილი გვაქვს იდეა და გამარჯვების შემთხვევაში 5 სოფელში მოეწყობა მოსასვენებელი ადგილები.

პრემიერ-მინისტრის რეკომანდაციით, 2024 წელს ყველა სოფელში უნდა დასრულდეს გაზიფიცირება. ჩვენთან დარჩენილია მაღალმთიანი სოფლები. აქტიურად ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, რათა შევძლოთ ამ სოფლებში ბუნებრივი აირის შეყვანა. საკმაოდ მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ ეტაპზე გვაქვს 6 პროექტი, აქედან 2 წინა წელს არის დაწყებული, ხოლო 4 – ახალია. მალე საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების მიზნით განთავსდება ვიდეოკამერები, რაც მუნიციპალიტეტში შეამცირებს საგზაო შემთხვევებს.

ყველა მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. ჩვენი მხრიდან მხარდაჭერასა და გვერდით დგომას ვუცხადებთ კერძო სექტორსა და ყველა იმ დარგს, რომლებიც მნიშვნელოვანი და საჭიროა ჩვენი მუნიციპალიტეტის კიდევ უფრო განვითარებისათვის“.

ბატონი კახა მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარი-დეპუტატის ურთიერთთანამშრომლობის შესახებაც გვესაუბრა. როგორც მან აღნიშნა, სამივე სტრუქტურა შეთანხმებულად მუშაობს. ერთმანეთთან გადიან კონსულტაციებს, რა საჭიროებების წინაშე დგას ბაღდათის მუნიციპალიტეტი და ერთად სახავენ სამომავლო გეგმებს. მათი კოორდინირებული მუშაობა მუნიციპალიტეტის უკეთესი მომავლის შექმნისკენ არის მიმართული.

ანა ძორიძე

2 ოქრო და 2 საუკეთესო

2020 წელს ჩავარდნილმა სპორტულმა ცხოვრებამ 2021 წელს ისევ დაიწყო გამოცოცხლება. ამ წელს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი და ტოკიოს ოლიმპიადა, რომლებიც 2020 წელს უნდა ჩატარებულიყო. ეს ჩავარდნა შეეხო ქართულ სპორტსაც.

2021 წელი კი შეიძლება ითქვას, რომ ქართული სპორტისათვის წარმატებული გამოდგა. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ინდივიდუალური სპორტის სახეობებზე (ძიუდო, ძალოსნობა, ჭიდაობა თავისი ქვე სახეობებით).

ფეხბურთი – 2020 წელი დიდი იმედის გაცრუება იყო ქართული ფეხბურთის გულშემატკივართათვის. საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა მაკედონიასთან წააგო უმნიშვნელოვანესი თამაში და ხელიდან გაუშვა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის დიდი შანსი.

2021 წელს ნაკრების მწვრთნელი გახდა ვილი სანიოლი, რომელმაც განსხავავებული ხედვით დაიწყო მუშაობა. ის დაუკავშირდა შიდა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს და მათ მოთამაშეებს შანსი მისცა ნაკრებში მოხვედრის რაც არცერთ მწვრთნელს აქამდე არ გაუკეთებიათ. მიუხედავად ამისა სანიოლის სამწვრთნელო კარიერა წარუმატებლად დაიწყო, მაგრამ წლის ბოლოს შვედეთის საკმაოდ ძლიერი ნაკრების დამარცხება შეძლო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ნაკრებში მონდომება შეინიშნება.

რაც შეეხება საკლუბო ფეხბურთს გოჩა თანდარაშვილის სიტყვით (რადიო თავისუფლება, 28 დეკემბერი, ქართული სპორტი 2021 წელი) „საკლუბო ფეხბურთი კატასტროფაზე ცოტა უკეთესია“.

წყალბურთი – ეს სახეობა 1992 წლიდან არსებობს, მაგრამ წელს პირველად ითამაშა ოლიმპიადის შესარჩევ ეტაპზე, რაც წინ გადადგმული ნაბიჭია ამ სპორტის სახეობაში.

ძიუდო – 2021 წელი საკმაოდ წარმატებული იყო საქართველოს ძიუდოს ნაკრებისათვის. 2021 წლის ევროპის ჩემპიონატეზე, რომელიც აპრილში ჩატარდა, პორტუგალიაში საქართველოს ნაკრებმა 1 ოქრო (ლაშა ბექაური), 3 ვერცხლი (ბექა ღვინიაშვილი, ვაჟა მარგველაშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი) და 1 ბრინჯაოს (გურამ თუშიშვილი) მედალი აიღო და გუნდური 1 ადგილი დაიკავა. ჩვენმა ნაკრებმა ასევე გუნდური 1 ადგილი დაიკავა ევროპის გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც ნოემბერში ჩატარდა რუსეთში.

ტოკიოს ოლიმპიადა – 2021 წლის ქართული სპორტისათვის ტოკიოს ოლიმპიადა (23 ივლისი – 8 აგვისტო) გამორჩეული იყო. ამ ოლიმპიადაზე საქართველომ აიღო 8 მედალი (2 ოქრო, 5 ვერცხლი და 1 ბრინჯაო) და გუნდური 33 ადგილი დაიკავა 206 ქვეყანას შორის. ამ რვა მედლიდან 4 მედალი ძიუდოზე – 1 ოქრო (ლაშა ბექაური) და 3 ვერცხლი (ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი და გურამ თუშიშვილი) მოდის რაც ოლიმპიორი ჩემპიონატების ისტორიაში ქართული ძიუდოს ნაკრების რეკორდული მაჩვენებელია.

2 ვერცხლის მედალი გვაქვს ჭიდაობაში: იაკობ ქაჯაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა). 1 ოქრო (ლაშა ტალახაძე) და 1 ბრინჯაო (ანტონ პლესნოი) ძალოსნობაში.

2021 წელს არ ჩაუვლია სენსაციის გარეშე, ამის შემოქმედი კი იყო ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელმაც ამ წლის 10 მარტს დაამარცხა როჯერ ფედერერი.

დაჯილდოების ცერემონია – ტრადიციულად წლის ბოლოს ტარდება ყოველ წლიური დაჯილდოება, საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. 2021 წლის საუკეთესო სპორტსმენის ნომინაციაზე ორი გამარჯვებული გამოვლინდა ლაშა ტალახაძე და ლაშა ბექაური.

ჯილდოები გაიცა სხვადასხვა ნომინაციებში:

„2021 წლის აღმოჩენა – ოლიმპიური იმედი ქალებში“ – მარიამ ქერდიკაშვილი, კანოე.

„საუკეთესო სპორტსმენი ზამთრის სახეობებში“ – მოციგურავე მორის ყვითელაშვილი

„2021 წლის აღმოჩენა – ოლიმპიური იმედი ვაჟებში – მოჭიდავე ლერი აბულაძე

„2021 წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენი“ – ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი

ქალტა სპორტში დასაქმებული საუკეთესო მწვრთნელი – ლალი დოლიძე მხატრული ტანვარჯიში

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი სპორტის სათამაშო სახეობაში – წყალბურთელი – გიორგი მაგრაქველიძე

2021 წლის საუკეთესო მწვრთნელი – ძიუდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ლაშა გუჯეჯიანი.

ცალკე სალაპარაკო თემაა ლაშა ტალახაძე. მის მონაწილეობას ტოკიოს ოლიმპიადაზე გიორგი ჭანიშვილმა (ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის დიქტორი) შეადარა „დრიმ თიმი“-ის (ამერიკის საკალათბურთო ნაკრები) გამოსვლას ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

p.s. ამ წლის დასაწყისში შეზღუდვები დაუწესდა ონლაინ კაზინოებს. როგორც ვიცით ქართული სპორტის მთავარი დამფინანსებლები სწორედ ეს კაზინოები იყო. ამიტომ ისმის კითხვა, როგორ იმოქმედეს ეს შეზღუდვები ქართულ სპორტზე? და რა უნდა გააკეთონ სპორტის მესვეურებმა, რომ მოსალოდნელი კრიზისი თავიდან აიცილონ?

2022 წელი გარდამტეხი უნდა იყოს ქართული სპორტის განვითარებაში.

ჯუანშერ გეგეშიძე

წლის საუკეთესო მუსიკალური სპექტაკლი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის საერთაშორისო სასკოლო თეატრალურ ფესტივალში „№-ოვაცია“ 2021. ისინი მაყურებლის წინაშე კომპოზიტორ ნუკრი კარკაძის მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციით “ჩაი და დეკემბერი” წარსდგნენ. ბაღდათის №1 საჯარო სკოლამ დიდი მოწონება დაიმსახურა და ნომინაციაში “წლის საუკეთესო მუსიკალური სპექტაკლი“ გამარჯვება მოიპოვა. ორ ნომინაციაში „წლის საუკეთესო კომპოზიტორი“ და „წლის საუკეთესო ხელშემწყობი პედაგოგი არაფორმალური განათლების კუთხით“ ბაღდათელი კომპოზიტორი, ქ. ბაღდათის №1 საჯარო სკოლისა და სოფელ როკითის საჯარო სკოლის პედაგოგი ნუკრი კარკაძე დაჯილდოვდა. სიგელები მიიღეს ასევე მარიამ გარუჩავამ ნომინაციაში „რეზო ჩხეიძის რჩეული გოგონა“ და მარიამ მუჯირმა ნომინაციაში „ორგანიზატორის რჩეული“. ამავე ფესტივალში მონაწილეობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლის მოსწავლე დავით ჩიქოვანი, რომელიც ჟიურის რჩეულიგახდა.

საერთაშორისო სასკოლო თეატრალურ ფესტივალში გამარჯვება ბაღდათის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მათ პედაგოგს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა კახა ენუქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ გიორგიძემ მიულოცეს და მადლობის სიგელი გადასცეს.

კომუნიკაცია თემსა და თვითმმართველობას შორის

2020 წლის დეკემბრიდან ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის ზრუნვის კავშირი „ჰერა“ ბაღდათსა და ვანში ახორციელებს პროექტს „ეფექტური ორმხრივი კომუნიკაცია თემსა და მმართველობას შორის და ქალთა გაძლიერება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“. საგრანტო პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. მისი მიზანია სამოქალაქო სექტორსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის თანამშრომლობის გაზრდა მოქალაქეთა ინფორმირების მექანიზმების გაძლიერებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდის გზით, ასევე ქალთა ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ორივე რეგიონის თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომელიც არეგულირებდა ორმხრივ ურთიერთობებს პროექტის განხორციელების განმავლობაში.

პროექტის საწყის ფაზაში დაიგეგმა ბაღდათისა და ვანის ადგილობრივი სამთავრობო ვებგვერდების განახლება. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა ბაღდათისა და ვანის ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის წარმომადგენლებთან. მათთან აზრთა შეჯერების საფუძველზე ჩამოყალიბდა სტრუქტურული და შინაარსობრივი მონახაზი განახლებული ვებგვერდისათვის.

ვებგვერდის განახლებაზე მუშაობის განმავლობაში „ჰერა“ მჭიდროდ თანამშრომლობდა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, რათა გვერდის საბოლოო ვერსია შესაბამისი ყოფილიყო თანამედროვე მოთხოვნებთან და ეპასუხა რეგიონში არსებული საჭიროებებისათვის.

ზემოთ აღწერილი საქმიანობების პარალელურად პროექტის დასაწყისში მოხდა ქალთა საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები აქტიური ქალებისგან. ჩამოყალიბდა 4 საინიციატივო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა 10—10 ქალი. ამდენად, პროექტის საქმიანობებში ჩაება 40 აქტიური ქალი, რომლებთან თანამშრომლობის შედეგადაც პროექტის დასასრულს ჩამოყალიბდება იურიდიული ფორმის მქონე 4 სათემო ორგანიზაცია. აღნიშნული ორგანიზაციები გააგრძელებენ საქმიანობებს სამოქალაქო სექტორსა და თვითმმართველობას შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად, ასევე მიმართავენ თავიანთ ძალისხმევას რეგიონში არსებული სხვა საჭიროებებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ქალთა საინიციატივო ჯგუფებს ჩაუტარდათ ტრენინგ—სემინარი სახელწოდებით: „ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები. სათემო ორგანიზაცია, მისი რაობა და მუშაობის პრინციპები“. ჩატარებულ ტრენინგზე პროფესიონალი ტრენერის მიერ პროექტის მონაწილე ქალებს მიეწოდათ ინფორმაცია მოქალაქეთა ჩართულობის არსებული ფორმებისა და აქტიური მოქალაქეობის შესახებ. ასევე მოხდა მონაწილეების გათვითცნობიერება სათემო ორგანიზაციებისა და მათი მუშაობის პრინციპებში.

„ძალიან მიხარია, რომ ამდენი ინფორმაცია გავიგე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ჩვეულებრივი მოქალაქე ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობებში. ასევე საინტერესო იყო იმის მოსმენაც, თუ რამდენი კარგი საქმე გაკეთებულა ჩვენი რეგიონის სხვადასხვა სოფელში, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდით,“ — აღნიშნა ბაღდათში ჩამოყალიბებული ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრმა, ქალბატონმა ლეილა გვანცელაძემ ტრენინგის გავლის შემდეგ.

პროექტის განხორციელების პირველი ფაზა წარმატებით დასრულდა 2021 წლის აგვისტოს ბოლოს და დაგეგმილი შედეგებიც ზედმიწევნით შესრულდა: განახლდა სამთავრობო ვებგვერდი როგორც ვანის, ასევე ბაღდათის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის; ჩამოყალიბდა ქალთა 4 საინიციატივო ჯგუფი — 2 ბაღდათში და 2 ვანში.

პროექტის მეორე ფაზის განხორციელების განმავლობაში — 2021 წლის სექტემბრიდან პროექტის დასრულებამდე იგეგმება აქტიური მედიაკამპანია ტელევიზიით, სოციალური მედიისა და ადგილობრივი გამომცემლობების საშუალებით. კამპანიის მიზანია ბაღდათისა და ვანის მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე საქმიანობებისა და ნაყოფიერი ორმხრივი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში პროექტის წვლილის შესახებ.

პროექტის დასკვნით ფაზაში ქალთა საინიციატივო ჯგუფებს გაეწევათ დახმარება იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პროცედურების გავლაში და ამ პროცედურებისათვის საჭირო დანახარჯების დაფარვაში.

ინფორმაცია მოგვაწოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ

დასაწყისი 1 გვ.-ზე

ხიდსა და 3 გვირაბს. ამჟამად მოძრაობა გახსნილია 2 კმ-იანი, 4 ზოლიანი მონაკვეთის 2 ზოლზე (ცალ მიმართულებაზე), ხოლო პარალელურად არსებული 2 ზოლიანი გზის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება. რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში სულ აშენდება 51.6 კმ-მდე გზა, 96 ხიდი და 53 გვირაბი.

იმერეთის რეგიონში სასკოლო ინფრასტრუქტურის მიმართულებითაც მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. 2021 წელს რეგიონში მიმდინარეობდა 10 ახალი სკოლის მშენებლობა და 23 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათგან დასრულდა 15 სკოლა. საერთო ჯამში, 83 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება სკოლების სრულ რეაბილიტაცია-მშენებლობაზე.

აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ჭიათურაში საბაგირო გზის რეაბილიტაციაზე. ეს არის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საბაგირო სადგურებსა და გზებს. საბაგირო გზების საერთო სიგრძე 3428 მეტრია და მასზე თანამედროვე სტანდარტების 8 გონდოლა მოძრაობს. გარდა იმისა, რომ ეს არის იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის გადაადგილების კარგი საშუალება, ტურისტებისთვის ატრაქციაც აღმოჩნდა და ინტერესით გადაადგილდებიან ახალი საბაგიროს მეშვეობით. ჭიათურაში უკვე დაიწყო 2 ძველი საბაგიროს რეაბილიტაცია, ფაქტობრივად შენარჩუნებული იქნება ძველი იერსახე, მაგრამ, ამასთანავე, იქნება ბოლომდე უსაფრთხო.

– როგორც ვიცით, პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულია პროგრამა „განახლებული რეგიონები“, რა სამუშაოები ჩატარდა იმერეთის რეგიონში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში?

პრემიერმინისტრის ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება ფასადებს, სკვერებს, საფეხმავლო ბილიკებს, საცხოვრებელი სახლების ღობეებსა და ჭიშკრებს. „განახლებული რეგიონების“ პროგრამა 4 წლიანია. ამჟამად მიმდინარეობს მისი პირველი ეტაპით დაგეგმილი პროექტების შესრულება, რომლის ღირებულება შეადგენს 75 მილიონ ლარს. გარკვეულ მუნიციპალიტეტებში სამუშაოები დასრულების ეტაპზე არის და თვალსაჩინოა უკვე პროექტის შედეგიც.

– გვესაუბრეთ საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის შესახებ.

საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამა არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ხორციელდება. იმერეთი არის ერთ-ერთი იმ 4 რეგიონიდან, სადაც მიმდინარეობს აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. ფაქტობრივად, იმერეთში ამ მიმართულებით 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 69 656 927 ლარია გამოყოფილი, აქედან ნაწილი უკვე ათვისებული გვაქვს. 2022 წელს არის ძირითადი პროექტები განსახორციელებელი, რაც აძლევს მუნიციპალიტეტებს საშუალებას სხვადასხვა მიმართულებით განვითარდნენ. ეს შეიძლება იყოს ურბანული განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა თუ ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ ბიზნესს კიდევ უფრო წარმატებაში. ძალიან საინტერესო პროექტები არის დაგეგმილი, რომლებიც დაიწყება 2022 წელს. ამ პროგრამის დახმარებით ჩვენ 12-ვე მუნიციპალიტეტში მივიღებთ საინტერესო ურბანულ, ტურისტულ და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ პროექტებს.

წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პრიორიტეტებია: ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე, უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

– ინფრასტრუქტურული სამუშაოები ყველა მიმართულებით მიმდინარეობს. კიდევ რა მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა იმერეთში?

2021 წელს რეგიონში ასევე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობდა წყალმომარაგების, გაზიფიცირების, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით. ასევე წყალტუბოში აშენდა იუსტიციის სახლი და კიდევ 3 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მშენებლობა.

გარდა ამისა, 2021 წელს წყალტუბოში 560 დევნილ ოჯახს გადავეცით ბინა, ქუთაისში ბოლო ორი წლის განმავლობაში საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 394 დევნილი ოჯახი, ხოლო მომავალ წელს დაგეგმილია 800 ოჯახს გადავცეთ საცხოვრებელი ფართი.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა არის მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხი. ქუთაისში ტრანსპორტის პრობლემა ფაქტობრივად აღმოიფხვრა და ქალაქში 60 ერთეული ახალი ავტობუსი მოძრაობს, რაც მგზავრებისთვის გადაადგილების კომფორტული საშუალებაა.

ქუთაისის აეროპორტი, რა თქმა უნდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტია ქუთაისის განვითარებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი გაფართოება, ვინაიდან არსებული აეროპორტი ვეღარ აკმაყოფილებდა იმ მგზავრთა ნაკადს, რომელიც იყო უკვე 2019 წელს. შესაბამისად, ჩვენ დავიწყეთ აეროპორტის გაფართოება. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დასრულდა შიდა ინტერიერის მოწყობა და გაერთიანდა ძველი და ახალი ტერმინალები, რის შედეგადაც აეროპორტს აქვს ერთიანი ტერმინალი, მოფრენისა და გაფრენის დარბაზებით და ყველა იმ აღჭურვილობით, რომელიც მისი შეუფერხებელი ოპერირებისთვის არის საჭირო. აეროპორტს აქვს 7 გასასვლელი და საათში 1200-ზე მეტი მგზავრის შეუფერხებლად გატარებას შეძლებს. ეს აეროპორტის არსებულ გამტარუნარიანობასთან შედარებით ოთხჯერ მეტია. განხორციელებული სამუშაოების შედეგად განახლებული აეროპორტის მგზავრთა გამტარუნარიანობა წელიწადში ორნახევარ მილიონამდე გაიზრდება. ამ ეტაპზე დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან პირდაპირი რეგულარული რეისები ევროპისა და აზიის 24 მიმართულებით სრულდება.

– მსოფლიო დგას დიდი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა კორონავირუსი. როგორი მდგომარეობაა იმერეთის რეგიონში?

მთავარ გამოწვევად ისევე როგორც წინა წელს, რჩება კოვიდ პანდემია. ამ მიმართულებით, მთელ საქართველოში მაქსიმალური ყურადღება დაეთმო პანდემიის მართვასა და საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციების დაცვას.

იმერეთი ამ მიმართულებითაც გამორჩეულია და ჩვენ შევქმენით უნიკალური მართვის სისტემა, რომელიც წელს კიდევ უფრო დაიხვეწა და მოგვცა იმის საშუალება, რომ ეფექტურად ვმართოთ მთლიანად ეს პროცესი. COVID-19-თან ბრძოლაში ერთ-ერთი მძლავრი საშუალება არის ვაქცინაცია და მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას ჩავერთოთ მასობრივი იმუნიზაციის პროცესში, შევამციროთ პანდემიის რისკები და დავიცვათ ჩვენს გვერდით მყოფი ადამიანები.

– როგორ შეაფასებთ 2021 წელს პოლიტიკური კუთხით?

2021 წელი პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. მოგეხსენებათ, წელს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც ოპოზიციის მიერ რეფერენდუმად იყო მონათლული, მაგრამ რეალურად მმართველმა გუნდმა ღირსეულად გაიმარჯვა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა ენდობა ჩვენს გუნდს და ჩვენი სამოქმედო გეგმა მათთვის არის მისაღები.

– გვესაუბრეთ, რა მნიშვნელოვანი პროექტები იგეგმება 2022 წელს.

2022 წელს კიდევ უფრო საინტერესო პროექტების განხორციელება გვაქვს დაგეგმილი და, რა თქმა უნდა, პრიორიტეტი არის მუნიციპალური ცენტრებისა და სოფლების წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, რაც ჩვენი მთავრობის ამბიციური გეგმაა და ფაქტობრივად 2025 წლისთვის მთლიანად უნდა იყოს დასრულებული. გაგრძელდება ურბანული განახლების პროექტები, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ჩვენს ქალაქებს. ასევე გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. კიდევ ერთი ამბიციური გეგმაა ყველა სოფელში იყოს ცენტრალური გზა მიყვანილი. შეიძლება ითქვას, რომ იმერეთის დაახლოებით ოთხმოცი პროცენტში ცენტრალური მაგისტრალი მიყვანილია და გადავდივართ უკვე საუბნო გზებზე. ჩვენი ამოცანაა, რომ ეს მიმართულება მაქსიმალურად იყოს ათვისებული. ასევე გაზიფიცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გაზიფიცირდეს ყველა სოფელი. რეგიონში არის მუნიციპალიტეტები, სადაც ყველა სოფელი არის უკვე ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი. ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა.

ანა-რეკლი

რუბრიკა „ანარეკლი“ გაზეთის ფურცლებს უბრუნდება. ჩვენი კრეატიული რეპორტიორი ***ანა ფხალაძე*** *საინტერესო პეიზაჟებით გვამოგზაურებს ფერად სამყაროში. ამჯერად გთავაზობთ ზამთრის ბაღდათის ულამაზეს ფოტოებს. ფონად კი დავურთეთ* ***აზა მაშანეიშვილის*** *ლექსი, რომელიც შემოქმედებითი გუნდის „მზის თეატრის“ მასპინძლობისას კურორტ „საირმეში“ დაიწერა.*

მე თოვლის რიკულების სპექტაკლებს ვესწრები
ფიფქები ჩურჩულით ამხელენ სიმართლეს,
თოვა ლამაზია
ბნელში გასათბრად,
უფრო მშვენიერი როდესაც ინათლებს.
მე თოვლის რიკულების სპექტაკლებს ვესწრები,
მთვარე მოწიწებით მზის თეატრს თამაშობს,
ყინულის ლოლუები სულამდე აღწევენ
დათოვლილ ნაძვებზე მკივანობს ზარნაშო.
მე თოვლის რიკულების სპექტაკლებს ვესწრები
თოვს და სიცივე დუმილით კანკალებს,
ოდესმე წავალთ...
თუმცაღა სიცოცხლეს ვაჩუქებთ
ჩვენეულ უზადო ნაკვალევს.
ცხოვრებაც სპექტაკლებს თამაშობს თოვლივით
ჩვენ კი დავყვებით ყინულის რიკულებს,
გვერგება ნიღბები, ნიღბებს ცოდვები
სწორედ აქ დავფიქრდეთ!!! უფალი გვიყურებს.
ცოდვებს ნიღბები კი არა ჩვენ ვსჩადით
ნიღბები თითქოსდა მალავენ სიშიშვლეს,
სწორედ მას ვერჩით, ვინც გულს გაგვიხსნის,
ვინც სულთან ახლოს ითლად მიგვიშვებს.
მზის თეატრს ცხოვრება ყინულზე თამაშობს
ცხოვრებაც მაგიტომ სპექტაკლი მგონია,
თოვლის რიკულები, ნიღბებიც, ცოდვებიც...
კაცთმოდგმის მყოფადი არს მელანქოლია.

თვიდან თვემდე

***

9 იანვარს, ბაღდათის მუნიციპალიტეტმა „საახალწლო ქარავანს“ უმასპინძლა. ქალაქის ცენტრში დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიება, მოეწყო საშობაობა ზრობა, გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები; კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდა ხის საახალწლო სახლები, ფოტოს გადასაღები სტენდები და ინსტალაციები; მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პატარებს თოვლის ბაბუამ ტკბილეული და საჩუქრები გადასცა; საღამოს საათებში კი გაიმართა როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქიდან მოწვეული შემსრულებლების კონცერტები. ღონისძიებები დასრულდა საზეიმო ფოიერვერკით.

პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 24 დეკემბრიდან 9 იანვრის ჩათვლით საახალწლო ღონისძიებები საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა.

***

შობის დღესასასწაულზე ბაღდათის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ალილო მოეწყო. საშობაო მსვლელობაში სასულიერო პირებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ალილოს მონაწილეებმა ქრისტესშობის დღესასწაული მოსახლეობას საშობაო საგალობლებით მიულოცეს. საშობაო მსვლელობის დროს შეგროვებული სანოვაგე კი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადასცეს.

***

14 იანვარი ქართული თეატრის აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში სპექტაკლის „ბუტიაობა“ პრემიერა გაიმართა. ბაღდათის სახალხო თეატრმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ ქართულ თეატრს 1850 წლის 14 იანვარს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. ეს იყო პირველი და იმდროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ჯუანშერ გეგეშიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლოაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“